დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N3 სხდომის გადაწყვეტილებით, წესში შესულია ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1-ელი აგვისტოს N8, 2023 წლის 5 სექტემბრის N9 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N3 სხდომის გადაწყვეტილებით

მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა პერსონალის მონაწილეობით.

1.2. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასწავლო და პრაქტიკულ/ლაბორატორიულ/ექსპერიმენტალურ/საველე და ა.შ. სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

1.3. მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება ორი გზით:
ა) ღია კონკურსის წესით;
ბ) ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით.

2. ღია კონკურსის წესით მასწავლებლის სამსახურში მიღება

2.1. ფაკულტეტის/სკოლის დეკანი პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებელთა ღია კონკურსის წესით შერჩევის საკითხზე;

2.2. ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან და/ან შესაბამის უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკონკურსო პირობებს, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარუდგენს ინფორმაციას უნივერსიტეტის რექტორს. აკადემიური წერის ცენტრის კოორდინაციის ქვეშ გამოსაცხადებელი მასწავლებლის ვაკანსიის საკონკურსო პირობებს ცენტრის ხელმძღვანელი ადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან შეთანხმებით და წარუდგენს ინფორმაციას უნივერსიტეტის რექტორს.

2.3. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის, აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბრძანება კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობებისა და მოთხოვნების შესახებ.

2.4. მასწავლებლის კონკურსში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და/ან სწავლების მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში;
ბ) მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
გ)საკონკურსო პირობებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

2.5. ამ წესის 2.4. პუნქტის მოთხოვნებიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაიშვას უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულების პროგრამებისათვის და ამ მიმართულებებზე მასწავლებლის კონკურსის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული

უზრუნველყოფის სფეროში მინიმუმ სამწლიანი დამადასტურებელი ინდუსტრიული გამოცდილება;

ბ) საკონკურსო პირობებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

2.6. კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

2.7. კონკურსი შესაძლოა მოიცავდეს ტესტირებას, საჩვენებელი ლექციას, ინტერვიუს და ა.შ. ეტაპებს იმის შესაბამისად, თუ რა იქნება განსაზღვრული საკონკურსო ბრძანებით.

2.8. გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ იღებს საკონკურსო კომისია;

3. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით მასწავლებლის სამსახურში მიღება

3.1. ფაკულტეტის/სკოლის დეკანს უფლება აქვს პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით წარუდგინოს რექტორს მასწავლებელთა კანდიდატურები სამსახურში მიღების მიზნით, ღია კონკურსის გარეშე;

3.2. დეკანის წარდგინებით მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების შემთხვევაში, კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და/ან სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში;

ბ) მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3.3. ამ წესის 3.2. პუნქტის მოთხოვნებიდან გამონაკლისი შეიძლება დაიშვას უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულების პროგრამებზე მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების შემთხვევაში და ამ მიმართულებებზე მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში მინიმუმ სამწლიანი დამადასტურებელი ინდუსტრიული გამოცდილება;

3.4. მასწავლებლობის ასეთი კანდიდატის მიღების შემთხვევაში, ფაკულტეტის/სკოლის დეკანი პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად კანდიდატის კვალიფიკაციისა და კომპეტენციების შეფასების მიზნით ატარებს კანდიდატთან ინტერვიუს. კანდიდატს ასევე შესაძლოა ეთხოვოს საჩვენებელი ლექციის ჩატარება.

3.5. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.